საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1 12 აპრილი 2013 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 105

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი – სურათების გალერეა“ ს შორის 2011 წლის 11 თებერვალს გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „პ.ბ“ და „პ.გ“ ქვეპუნქტების, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუქტის, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19^5 (პრიმა) მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების და „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“- მე-II თავის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი – სურათების გალერეა“ ს შორის 2011 წლის 11 თებერვალს გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის №5 ხელშეკრულებაში და ხელშეკრულების:

1. ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.2. უზუფრუქტუარი ვალდებულია:

ა) უზუფრუქტით აღებული ქონება გამოიყენოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის და არ შეცვალოს სარგებლობის მიზანი.

ბ) გადაიხადოს ხელშეკრულებით უზუფრუქტით გადაცემის, საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და ამისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯები.

გ) მისთვის უზუფრუქტით გადაცემული ქონების გამოყენებისას დაიცვას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და მათი შესრულების მიმდინარეობები.

დ) იზრუნოს ქონების ნორმალური მდგომარეობის შენარჩუნებისთვის.

ე) დაუყოვნებლივ აცნობოს უზუფრუქტის გამცემს თუ ქონება დაზიანდა, განადგურდა ან მის შესანახად წარმოიშვა გაუთვალისწინებელი ხარჯები.

ვ) უზუფრუქტუარი ვალდებულია ითმინოს ის ღონისძიებანი, რომლებიც შეიძლება განხორციელებული იქნეს უზუფრუქტის გამცემის მიერ ხსენებული ფაქტების მოსაგვარებლად და გამოსასწორებლად.

ზ) ქონების სარგებლობისას დაიცვას: ეკოლოგიური, სანიტარული, ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკური უსაფრთხოების წესები.

თ) 6 თვეში ერთხელ და/ან მოთხოვნისთანავე წარუდგინოს ინფორმაცია მესაკუთრეს.

ი) დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.“

2. 4.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და იდება 2 (ორი) წლის ვადით.“

მუხლი 2. შეთანხმება 2011 წლის 11 თებერვლის უსასყიდლო უზუფრუქტის №5 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ თან ერთვის დანართის სახით.

მუხლი 3. ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

მუხლი 4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).

მუხლი 5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ალეკო მამეშვილი**